ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

CSRDG
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარებული საჭიროებათა კვლევისა და შეფასების ანგარიში

ოზურგეთი
2018

საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი
Democratic Development Union of Georgia

გურიის მედიატორთა ასოციაცია
Mediators Association of Guria

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

CSRDG

ანგარიშის ავტორი:
„საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი“
„გურიის მედიატორთა ასოციაცია“

წინამდებარე ანგარიში შექმნილია „საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის“ მიერ, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) მხარდაჭერით, პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ფარგლებში.

„სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ხორციელდება კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) მიერ სამოქალაქო საზოგადოების ინსიტუტთან (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრთან (CTC), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან (CSRDG) და განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრთან (EDEC) თანამშრომლობით. პროექტს აფინანსებს ევროკავშირი, ხოლო თანადამფინანსებელია კონრად ადენაუერის ფონდი.

წინამდებარე ანგარიშის შინაარსზე სრულიად პასუხისმგებელია „საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი“ და „გურიის მედიატორთა ასოციაცია“ და ეს არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის, სხვა დონორებისა და კონსორციუმის პარტნიორების შეხედულებებს.

სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა

KONRAD ADENAUER STIFTUNG · CSI · CSRDG · CTC Empowering People for Change · EDEC

შესავალი

„საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირისა“ და „გურიის მედიატორთა ასოციაციის“ მიერ 2018 წლის სექტემბერ-ოქტომბრის თვეში ჩატარდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები მოსახლეობის გამოკითხვა, რომელიც ძირითად მიზნად ისახავდა უშუალოდ ადმინისტრაციული ერთეულის / მის შემადგენლობაში შემავალი დასახლებების წინაშე არსებული პრობლემების / საჭიროებების იდენტიფიცირებასა და მათ რანჟირებას პრიორიტეტულობის მიხედვით; გარდა ამისა, გამოკითხვის თანმდევ, მართალია, არაძირითად, თუმცა ასევე ძალზე მნიშვნელოვან მიზანს შეადგენდა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან საზოგადოების ურთიერთობის ხარისხის დადგენა.

მოსახლეობის აზრის გამოკითხვა განხორციელდა „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ (CSRDG) მიერ, ევროკავშირისა და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროგრამის - „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ - ეგიდით დაფინანსებული პროექტის – „მართვის ევროპული პრინციპები და მათი შეთავსება ქართულ პრაქტიკასთან“ – ფარგლებში.

მერიის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ დასახლებებში (მერია, ნაღობილევი, ხვარბეთი) მცხოვრები მოსახლეობის გამოკითხვის მიზნის მისაღწევად პროექტის შემსრულებელი ორგანიზაციების მიერ არჩეული იქნა რესპოდენტთა გამოკითხვის რაოდენობრივი მეთოდი, პირისპირ ინტერვიუირების გზით, ხოლო კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებული იქნა სპეციალური სტრუქტურირებული ანკეტა. თავიდანვე აქცენტი გაკეთებული იქნა იმაზე, რომ გამოკითხული ყოფილიყო ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ დასახლებებში მცხოვრები, ფაქტიურად, მოქმედი ყველა ოჯახის თითო სრულწლოვანი წევრი, რესპოდენტთა შერჩევისას გენდერული ბალანსის შეძლებისდაგვარად გათვალისწინებით. პრაქტიკულად, აზრის გამოკითხვა ყველა იმ ოჯახში განხორციელდა, რომლის ერთმა სრულწლოვანმა წევრმა მაინც თანხმობა განაცხადა გამოკითხვაში მონაწილეობაზე (**შენიშვნა**: იმის გათვალისწინებით, რომ გამოკითხვა დროში დაემთხვა საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდს, ზოგიერთმა ოჯახმა და მათმა სრულწლოვანმა წევრებმა უარი განაცხადეს (თავი შეიკავეს) გამოკითხვაში მონაწილეობაზე, თუმცა ამ გარემოებას, საბოლოო ჯამში, არანაირი, რამდენადმე მნიშვნელოვანი, მით უმეტეს, უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია მოსახლეობის აზრის კვლევის საბოლოო მიზნის განხორციელებაზე). რესპოდენტთა უშუალო გამოკითხვა, პირისპირ ინტერვიუირების გზით, სპეციალური სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით, უზრუნველყო პროექტის პარტნიორმა მერიის საინიციატივო ჯგუფმა „იმედმა“.

სპეციალური სტრუქტურირებული კითხვარი 13 კითხვისგან შედგებოდა და სამ ნაწილად (ბლოკად) იყო დაყოფილი:
პირველი ნაწილი (*A ბლოკი*) - „ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან საზოგადოების ურთიერთობის არსებობა და მათი დამოკიდებულება ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ“ – 8 შეკითხვას აერთიანებდა; აქედან 7 დახურული ტიპის შეკითხვა იყო, 1 კი - „ღია“ ტიპის. აღნიშნული ბლოკი მიზნად ისახავდა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან (როგორც ადგილზე, ადმინისტრაციული ერთეულის, ისე უშუალოდ მუნიციპალიტეტის დონეზე) საზოგადოების ურთიერთობის ხარისხის დადგენას;
მეორე ნაწილი (*B ბლოკი*) – „საჭიროებათა / პრობლემათა იდენტიფიცირება და განსაზღვრა“ –

უშუალოდ, კითხვარისა და, ზოგადად, მოსახლეობის აზრის გამოკითხვის ყველაზე მნიშვნელოვანი, ძირითადი ნაწილი იყო და იგი, ჯამში, 5 კითხვას მოიცავდა, რომელთაგან 1 ე.წ. „ღია ტიპის შეკითხვა“ იყო, დანარჩენი 4 კი - დახურული ტიპის. სწორედ კითხვარის ეს ნაწილი (ბლოკი) ემსახურებოდა იმას, რომ დადგენილიყო მერიის ადმინისტრაციული ერთეულისა და მის შემადგენლობაში შემავალი დასახლებების (მერია, ნაღობილევი, ხვარბეთი) წინაშე არსებული პრობლემები / საჭიროებები და მომხდარიყო მათი რანჟირება პრიორიტეტულობის მიხედვით;
ხოლო კითხვარის დასკვნითი, *მესამე ნაწილი* - ე.წ. „დემოგრაფიული ბლოკი“ (*C ბლოკი*) მიზნად ისახავდა რესპონდენტის შესახებ დემოგრაფიული მონაცემების დადგენას (სქესი, ასაკი, ვინაობა და ა.შ.).
აღსანიშნავია, რომ კვლევის შედეგების დამუშავება მოხდა Excel-ის ფორმატში „საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის“ მიერ შემუშავებული ცხრილით. კვლევების შედეგების დამუშავება მოიცავდა პროექტის პარტნიორი მერიის საინიციატივო ჯგუფ „იმედის“ წევრთა მიერ შევსებული კითხვარებიდან ინფორმაციის კომპიუტერში შეტანას, მის დამუშავებას და მიღებული შედეგების ცხრილური და გრაფიკული სახით მომზადებას.

გამოკითხვის შედეგები

III ნაწილი - დემოგრაფიული ბლოკი

მოსახლეობის აზრის გამოკითხვის / კვლევის ფარგლებში რესპოდენტები გამოკითხულნი იქნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი დასახლებების (მერია, ნაღობილევი, ხვარბეთი) მიხედვით. სულ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 264 რესპოდენტმა, რომელთაგან 166 ქალი (62,9%) იყო, 98 კი - მამაკაცი (37,1%):



საკუთრივ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი ცალკეული დასახლებების მიხედვით გამოკითხვაში მონაწილე რესპოდენტების კონკრეტული რაოდენობა (მათ შორის გენდერული ჭრილის გათვალისწინებით) კი შემდეგნაირად გამოიყურება:

მერიის ადმინისტრაციულ	გამოკითხვაში მონაწილე რესპოდენტები

ერთეულში შემავალი დასახლება	რესპოდენტთა საერთო რაოდენობა	მ.შ.: მამაკაცი	მ.შ.: ქალი
I	II	III	IV
	150	50	100
ნაღობილევი	52	22	30
ხვარბეთი	62	26	36
სულ:	**264**	**98**	**166**

თუ იმ გარემოებას გათვალისწინებით, რომ ქართულენოვანი „ვიკიპედიის - თავისუფალი ენციკლოპედიის“ ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის მიხედვით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა, 2014 წლის აღწერის მონაცემებით, 2.897 ადამიანს (მათ შორის 1416 კაცი და 1481 ქალი) შეადგენს (იხ. https://ka.wikipedia.org/wiki/მერია_(ოზურგეთის_მუნიციპალიტეტი); https://ka.wikipedia.org/wiki/ნაღობილევი; https://ka.wikipedia.org/wiki/ხვარბეთი), გამოდის, რომ კვლევის ფარგლებში, რესპოდენტების სახით, გამოკითხული იქნა მერიის ადმინისტრაციული ერთეულის მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 9,1%. ეს კი, ფაქტიურად, იმას ნიშნავს, რომ მერიის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები ყოველი მე-11 მოსახლის აზრი არის დაფიქსირებული წარმოდგენილ გამოკითხვის შედეგების ამსახველ ანგარიშში. ამასთან, უნდა ითქვას, რომ გამოკითხულ რესპოდენტთა აღნიშნული რაოდენობა სავსებით საკმარისია, ზოგადად, ადმინისტრაციულ ერთეულში / მის შემადგენლობაში შემავალ დასახლებებში არსებული პრობლემური საკითხების გარშემო სრული სურათის შესაქმნელად.

I ნაწილი – „ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან საზოგადოების ურთიერთობის არსებობა და მათი დამოკიდებულება ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ“

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, კითხვარის ეს ნაწილი (A ბლოკი), რომელიც 8 შეკითხვას მოიცავდა, მიზნად ისახავდა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან (როგორც ადგილზე, უშუალოდ ადმინისტრაციული ერთეულის, ისე, საკუთრივ, მუნიციპალიტეტის დონეზე) საზოგადოების ურთიერთობისა და ადგილობრივი თვითთმართველობის საქმიანობის შესახებ მისი ინფორმირებულობის ხარისხის დადგენას.

კითხვაზე - *„ბოლო ერთი წლის განმავლობაში მიგიმართავთ თუ არა თქვენ (ან თქვენი ოჯახის რომელიმე წევრს) დასახმარებლად რაიმე პრობლემის მოგვარებისათვის ადგილობრივი ხელისუფლებისათვის?“* - ფაქტიურად, გამოკითხვაში მონაწილე რესპოდენტთა 18,9% (50 ადამიანი) აცხადებს, რომ მას (ან მისი ოჯახის რომელიმე წევრს) ბოლო ერთი წლის განმავლობაში მიუმართავს დასახმარებლად / კონკრეტული პრობლემის მოსაგვარებლად ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთათვის. უფრო კონკრეტულად კი ამ შეკითხვაზე გაცემული პასუხები შემდეგნაირ სურათს იძლევა:



ანკეტის ამ ნაწილის მომდევნო შეკითხვა კი ეხებოდა საკითხს იმის შესახებ, თუ კონკრეტულად ვინ იყო ასეთი მიმართვის ადრესატი; მიღებული შედეგები, გრაფიკული სახით გამოსახული, შემდეგნაირად გამოიყურება:

კითხვა: კონკრეტულად ვის მიმართეთ დასახმარებლად?



ამ საკითხთან მიმართებაში უფრო მეტი ინფორმაციის მისაღებად, მომდევნო შეკითხვად დასმული იქნა ე.წ. „ღია ტიპის“ კითხვა, თუ რა საკითხზე მიმართა რესპოდენტმა მიმართვის ადრესატს; ამ შეკითხვაზე

პასუხი მხოლოდ იმ რესპოდენტთა 60%-მა (30 ადამიანი) გასცა, რომლებმაც განაცხადეს, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში მას (ან მისი ოჯახის რომელიმე წევრს) მიუმართავს დასახმარებლად / კონკრეტული პრობლემის მოსაგვარებლად ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთათვის. მიღებული შედეგები, ცხრილის სახით წარმოდგენილი, შემდეგ სურათს იძლევა:

კითხვა: თუ საიდუმლო არ არის, რა საკითხზე მიმართეთ?

საკითხი	ჯამური შედეგები
I	II
გზის პრობლემა	7
სამედიცინო დახმარება	4
სოციალური დახმარება	3
სახურავის საკითხი	6
წყლის პრობლემა	1
შეღობვითი სამუშაოები	2
დამეწყრილი სახლის პრობლემა	2
ნაგვის ურნის დამატება	1
საბავშვო ბაღის რემონტი	1
სკვერის მოწყობა	1
მიწის გაფორმება	1
ბინის გაფორმება	1

ამ საკითხთან შემხებლობაში მყოფი შემდგომი შეკითხვა უკვე მიმართვის ადრესატების მხრიდან რეაგირების საკითხს (ფაქტიურად, გაწეული დახმარების რესპოდენტისეულ შეფასებას) ეხებოდა, რომლის შედეგებიც, საბოლოო ჯამში, ასე გამოიყურება:

კითხვა: გაგიწიათ თუ არა დახმარება?

სავარაუდო პასუხი	ჯამური შედეგები
I	II
ყოველთვის	3
ზოგჯერ	9
იშვიათად	5
არასოდეს	13

ასევე საინტერესო იყო იმის გარკვევაც, თუ რამდენად იყო ინფორმირებული ადგილობრივი მოსახლეობა მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ და რამდენად ჰქონდა მას

საშუალება (შესაძლებლობა), გაცნობოდა ამ გადაწყვეტილებებს. საგულისხმო და ყურადსაღებია ის გარემოება, რომ გამოკითხული 264 რესპოდენტიდან მხოლოდ მათი 37,1% (98 ადამიანი) აცხადებს, რომ აქვს მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებების გაცნობის საშუალება, ხოლო 62,9% (166 ადამიანი) კი - ასეთ შესაძლებლობას მოკლებულია:

კითხვა: გაქვთ თუ არა საშუალება, გაეცნოთ მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებებს?



გამოკითხული რესპოდენტების (რომლებმაც დადებითი პასუხი გასცეს შეკითხვას, ჰქონდათ თუ არა მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებების გაცნობის საშუალება) დიდი ნაწილი - 80,6% (79 ადამიანი) აცხადებს, რომ ის მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებების შესახებ ინტერნეტის მეშვეობით იგებს, ხოლო 13,3% (13 რესპოდენტი)კი - მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლისგან.

კითხვა: სად ღებულობთ ინფორმაციას მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ?



რესპოდენტთათვის დასმული შემდეგი კითხვა - „გსმენიათ თუ არა რაიმე თქვენი სოფლის მაჟორიტარი დეპუტატის მიერ ჩატარებული მოქალაქეთა ოფიციალური მიღებების შესახებ?“ - პირდაპირ ეხმიანება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 45-ე მუხლის მე-4 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის სავალდებულო მოთხოვნას იმის შესახებ, რომ „მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვალდებულია: ... ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით შეხვდეს მოქალაქეებს“, ასევე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №1 დადგენილებით დამტკიცებული „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ 117-ე მუხლის მე-2 პუნქტის დებულებას, რომლის თანახმადაც, „საკრებულოს წევრი ვალდებულია, საკრებულოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად, თვეში ერთხელ მაინც მოაწყოს ამომრჩევლების მიღება. ამომრჩევლების მიღების მიზნით საკრებულოს წევრს გამოეყოფა ოთახი საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში (მაჟორიტარული წესით არჩეულ საკრებულოს წევრს შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის ადმინისტრაციულ შენობაში)“. როგორც ქვემოთ მოცემული ინფოგრაფიკიდან ირკვევა, გამოკითხულ რესპოდენტთა (ვინც ამ კითხვაზე გასცა პასუხი), ფაქტიურად, ნახევარს - 51,1%-ს (134 ადამიანი) რამენაირი ფორმით სმენია მათი ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის მიერ ჩატარებული მოქალაქეთა ოფიციალური მიღებების შესახებ:

კითხვა: გსმენიათ თუ არა რაიმე თქვენი სოფლის მაჟორიტარი დეპუტატის მიერ ჩატარებული მოქალაქეთა ოფიციალური მიღებების შესახებ?



ხოლო რაც შეეხება საკითხს იმის თაობაზე, თუ რამდენად აქტიურობს მოსახლეობა საკრებულოს ადგილობრივი მაჟორიტარი დეპუტატის ოფიციალურ მიღებებზე დასწრების მხრივ, ამ კუთხით, შემდეგი სიტუაცია გვაქვს - გამოკითხული 129 რესპოდენტიდან (რომლებმაც ქვემოთ წარმოდგენილ კითხვას უპასუხეს) მხოლოდ 17,1% (22 ადამიანი) აცხადებს, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში ის ან მისი ოჯახის რომელიმე წევრი არის ნამყოფი ადგილობრივ მაჟორიტარ დეპუტატთან ოფიციალურ მიღებაზე:

კითხვა: ბოლო ერთი წლის განმავლობაში ყოფილხართ თუ არა პირადად თქვენ (ან თქვენი ოჯახის რომელიმე წევრი) სოფლის მაჟორიტარ დეპუტატთან ოფიციალურ მიღებაზე?



II ნაწილი - საჭიროებათა / პრობლემათა იდენტიფიცირება და განსაზღვრა

კითხვარის ეს ნაწილი (*B ბლოკი*), საკუთრივ, კითხვარისა და, ზოგადად, მოსახლეობის აზრის გამოკითხვის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი იყო და იგი, ჯამში, 5 კითხვას მოიცავდა, რომელთაგან 1 „ღია ტიპის შეკითხვა“ იყო, დანარჩენი 4 კი - დახურული. სწორედ კითხვარის ეს ნაწილი (ბლოკი) ემსახურებოდა იმას, რომ მომხდარიყო მერიის ადმინისტრაციული ერთეულისა და მის შემადგენლობაში შემავალი დასახლებების წინაშე არსებული პრობლემების / საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი რანჟირება პრიორიტეტულობის მიხედვით.

კითხვარის აღნიშნული ბლოკი იხსნებოდა რესპოდენტებისაგან იმ ინფორმაციის ამოღებით, ბოლო ერთი წლის მანძილზე ჰქონდა თუ არა რომელიმე ორგანიზაციას ჩანატარები მოსახლეობის აზრის კვლევა (გამოკითხვა). აღნიშნულ კითხვაზე პასუხი 264 გამოკითხულიდან მხოლოდ 61 რესპოდენტმა გასცა და, ფაქტიურად, მათი აბსოლუტური უმრავლესობის - 93,4%-ის (57 ადამიანი) პასუხი უარყოფითი იყო. ნიშანდობლივი და საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ადგილობრივი სახელისუფლებო სტრუქტურებიდან ერთადერთ სუბიექტად, ვისაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში მოსახლეობის აზრის გამოკითხვა უწარმოებია, მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი დასახელდა და ისიც მხოლოდ ერთი რესპოდენტის მიერ, რაც 1,8%-ს შეადგენს.

კითხვა: ბოლო ერთი წლის განმავლობაში უწარმოებია თუ არა



მოსახლეობის აზრის გამოკითხვა რომელიმე ორგანიზაციას?

საინტერესო იყო ასევე რესპოდენტების აზრი ანკეტის შემდგომ შეკითხვასთან დაკავშირებით; ეს შეკითხვა კითხვარში შემდეგნაირად იყო ფორმულირებული: *„თქვენ რომ სოფლის ხელმძღვანელი იყოთ, სოფლისთვის რომელ მნიშვნელოვან პრობლემას მოაგვარებდით პირველ რიგში?“* გამოკითხული რესპოდენტების აზრი ამ კითხვასთან მიმართებაში, ძირითადად, სამი მთავარი პრობლემის - ამორტიზებული შიდა გზების, გაზიფიცირებისა და წყალომომარაგების - გარშემო იქნა ფოკუსირებული:

პრობლემა / საჭიროება	**შედეგების მერიის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი დასახლებების მიხედვით**			**ჯამური მაჩვენებლები**
	მერია	**ნაღობილევი**	**ხვარბეთი**	
I	**II**	**III**	**IV**	**V**
ამორტიზებული შიდა გზები	20	8	31	59
გაზიფიცირება	54	18	20	92
საყანე ფართობების შეღობვა	3	-	2	5
წყალმომარაგება	40	6	2	48
გარე განათება	1	1	-	2
ავარიული საბავშვო ბაგა-ბაღი	2	-	-	2

შემდგომი სამი შეკითხვა უშუალოდ და პირდაპირ ემსახურებოდა იმ მიზანს, რომ მომხდარიყო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული ერთეულისა და მის შემადგენლობაში შემავალი კონკრეტული დასახლებების (მერია, ნაღობილევი, ხვარბეთი) წინაშე არსებული პრობლემების / საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი რანჟირება პრიორიტეტულობის მიხედვით. კერძოდ, ეს შეკითხვები ანკეტაში შემდეგი სახით იყო წარმოდგენილი: „ქვემოთ ჩამოთვლილი პრობლემებიდან, გთხოვთ, მიუთითოთ, რომელი მათგანია თქვენი საცხოვრებელი უბნისთვის **პირველ რიგში / მეორე რიგში / მესამე რიგში მნიშვნელოვანი?**“ ქვემოთ მოცემულ ცხრილში შედეგები ასახულია მთლიანი ადმინისტრაციული ერთეულისთვის, დაჯამებული ფორმით:

პრობლემები	**პირველ რიგში მნიშვნელოვანი**	**მეორე რიგში მნიშვნელოვანი**	**მესამე რიგში მნიშვნელოვანი**	**ჯამური ქულა**
I	**II**	**III**	**IV**	**V**
წყალმომარაგება	110	58	16	**184**
ნაგვის გატანა	–	25	18	43
გარე განათება	1	54	50	**105**
ამორტიზებული შიდა გზები	82	61	16	**159**
უტრანსპორტობა (იგულისხმება საზოგ. ტრანსპორტი)	4	10	11	25
მოუწყობელი სკვერი	–	7	11	18
გართობის კერების არარსებობა	4	8	33	45
ავარიული საბავშვო ბაგა-ბაღი	1	5	12	18
ავარიული სკოლა	–	3	12	15
სასაფლაოს მდგომარეობა	4	15	69	88
სხვა (ჩაწერეთ) - გაზიფიცირება	43	**7**	1	51
მიჭირს პასუხის გაცემა	–	–	–	–

როგორც ზემოთ წარმოდგენილი ცხრილიდან ჩანს, გამოკითხვაში მონაწილე რესპოდენტების მიერ **<u>პირველი რიგის</u> პრიორიტეტულ პრობლემად დასახელებული იქნა <u>წყალმომარაგების პრობლემა</u>, <u>მეორე რიგის</u> პრობლემად - <u>ამორტიზებული შიდა გზები</u>, ხოლო <u>მესამე რიგის პრობლემად</u> კი - <u>გარე განათება</u>**. ხოლო რაც შეეხება უშუალოდ მერიის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი კონკრეტული დასახლებების (მერია, ნაღობილევი, ხვარბეთი) წინაშე არსებული პრობლემების / საჭიროებების პრიორიტეტულობის საკითხს, იგი შემდეგნაირ სურათს იძლევა:

მერიის ადმინისტრაციული ერთეული, <u>სოფ. მერია</u>:

პრობლემები	**პირველ რიგში მნიშვნელოვანი**	**მეორე რიგში მნიშვნელოვანი**	**მესამე რიგში მნიშვნელოვანი**	**ჯამური ქულა**
I	**II**	**III**	**IV**	**V**
წყალმომარაგება	**79**	34	9	**<u>122</u>**
ნაგვის გატანა	–	11	10	21
გარე განათება	–	28	19	**<u>47</u>**
ამორტიზებული შიდა გზები	37	41	10	**<u>88</u>**
უტრანსპორტობა (იგულისხმება საზოგ. ტრანსპორტი)	3	6	2	11
მოუწყობელი სკვერი	–	7	11	18
გართობის კერების არარსებობა	4	7	25	36
ავარიული საბავშვო ბაგა-ბაღი	–	1	8	9

ავარიული სკოლა	–	2	10	12
სასაფლაოს მდგომარეობა	3	3	40	46
სხვა (ჩაწერეთ) - გაზიფიცირება	12	4	–	16
მიჭირს პასუხის გაცემა	–	–	–	–

მერიის ადმინისტრაციული ერთეული, <u>სოფ. ნაღობილევი</u>:

პრობლემები	**პირველ რიგში მნიშვნელოვანი**	**მეორე რიგში მნიშვნელოვანი**	**მესამე რიგში მნიშვნელოვანი**	**ჯამური ქულა**
I	**II**	**III**	**IV**	**V**
წყალმომარაგება	26	1	9	**<u>36</u>**
ნაგვის გატანა	–	2	5	7
გარე განათება	–	12	6	**<u>18</u>**
ამორტიზებული შიდა გზები	12	3	15	**<u>30</u>**
უტრანსპორტობა (იგულისხმება საზოგ. ტრანსპორტი)	1	6	4	11
მოუწყობელი სკვერი	–	–	–	–
გართობის კერების არარსებობა	–	5	1	6
ავარიული საბავშვო ბაგა-ბაღი	–	3	3	6
ავარიული სკოლა	–	–	–	–
სასაფლაოს მდგომარეობა	1	12	3	16
სხვა (ჩაწერეთ) - გაზიფიცირება	11	1	3	15
მიჭირს პასუხის გაცემა	–	–	–	–

მერიის ადმინისტრაციული ერთეული, <u>სოფ. ხვარბეთი</u>:

პრობლემები	**პირველ რიგში მნიშვნელოვანი**	**მეორე რიგში მნიშვნელოვანი**	**მესამე რიგში მნიშვნელოვანი**	**ჯამური ქულა**
I	**II**	**III**	**IV**	**V**
წყალმომარაგება	8	9	6	**<u>23</u>**
ნაგვის გატანა	–	9	6	15
გარე განათება	1	21	16	**<u>37</u>**
ამორტიზებული შიდა გზები	33	11	3	**<u>47</u>**
უტრანსპორტობა (იგულისხმება საზოგ. ტრანსპორტი)	4	–	3	7
მოუწყობელი სკვერი	–	–	–	–
გართობის კერების არარსებობა	–	–	3	3
ავარიული საბავშვო ბაგა-ბაღი	1	1	1	3
ავარიული სკოლა	–	1	2	3
სასაფლაოს მდგომარეობა	–	9	19	18
სხვა (ჩაწერეთ) - გაზიფიცირება	20	1	–	21
მიჭირს პასუხის გაცემა	–	–	–	–

პრინციპში, შეიძლება ითქვას, რომ მერიის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჯამური სახით, გამოკვეთილი პრობლემების პრიორიტეტულობის საკითხი სრულად ემთხვევა მის შემადგენლობაში შემავალ დასახლებებში (მერია, ნაღობილევი, ხვარბეთი) რესპოდენტების მიერ იდენტიფიცირებული პრობლემების პრიორიტეტულობას, - იმ უმნიშვნელო განსხვავებით, რომ სოფ. ხვარბეთში გამოკითხული მოსახლეობის მხრიდან პირველი რიგის პრობლემად (წყალმომარაგების პრობლემის ნაცვლად) ამორტიზებული შიდა გზები დასახელდა, მეორე რიგის პრობლემად (ამორტიზებული შიდა გზების ნაცვლად) - გარე განათება, ხოლო მესამე რიგის პრობლემად კი - წყალმომარაგების პრობლემა. ამასთან, საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ მერიის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ ყველა დასახლებაში რესპოდენტთა მხრიდან ასევე მწვავე პრობლემებად იქნა დასახელებული *სასაფლაოს მდგომარეობა* და *გაზიფიცირება*.

ძირითადი მიგნებები / დასკვნები:

- ✓ მოსახლეობის მიმართვები ადგილობრივი ხელისუფლებისადმი ძირითადად პირად (მუნიციპალური ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პაკეტით სარგებლობის საკითხებზე) საკითხებზე ხდება და, უმეტესწილად, ფრაგმენტულ / სტიქიურ ხასიათს ატარებს;
- ✓ საკრებულოს ადგილობრივი მაჟორიტარი დეპუტატი, ასე თუ ისე, უზრუნველყოფს მოქალაქეთა ყოველთვიური ოფიციალური მიღებების ჩატარებას;
- ✓ მოსახლეობა, მეტნაკლებად, ინფორმირებულია საკრებულოს ადგილობრივი მაჟორიტარი დეპუტატის მიერ ჩატარებული მოქალაქეთა ყოველთვიური ოფიციალური მიღებების შესახებ;
- ✓ მუნიციპალიტეტს არ გააჩნია საზოგადოებრივი აზრის კვლევის ერთიანი სტრატეგია;
- ✓ საზოგადოებრივი აზრის კვლევა მუნიციპალიტეტის მიერ არ / ნაკლებად ხდება;
- ✓ აშკარად უკეთესის სურვილს ტოვებს მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირების არსებული პრაქტიკა;
- ✓ მერიის ადმინისტრაციული ერთეული წინაშე არსებული პრობლემების პირველი სამეული, მათი პრიორიტეტულობის მიხედვით, ასე გამოიყურება: 1) წყალმომარაგება; 2) ამორტიზებული შიდა გზები; 3) გარე განათება;
- ✓ ადგილობრივი მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან სპრობლემას წარმოადგენს ასევე სასაფლაოს მდგომარეობა და გაზიფიცირება...

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ პრაქტიკაში დანერგოს საკრებულოს წევრების (განსაკუთრებით მაჟორიტარი დეპუტატების) მიერ მოქალაქეთა ყოველთვიური ოფიციალური მიღებების შესახებ ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირების ეფექტიანი და ქმედითი (დივერსიფიცირებული) მექანიზმები;
- მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტმა ნათლად განსაზღვროს საზოგადოებრივი აზრის კვლევის ერთიანი სტრატეგია;
- საჭიროა უფრო ინტენსიური და აქტიური მუშაობა მოსახლეობის აზრის კვლევის მიმართულებით;
- გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები მერიის ადმინისტრაციულ ერთეულში პრიორიტულად მიჩნეული ზემოაღნიშნული ინფრასტრუქტურული პრობლემების მოსაგვარებლად ადგილობრივი ბიუჯეტიდან თუ დაფინანსების სხვა, ალტერნატიული წყაროებიდან შესაბამისი მატერიალურ-ფინანსური რესურსების მოძიების მიმართულებით;
- განხორციელდეს დროული და ეფექტიანი ღონისძიებები მერიის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ფიზიკურ-ინფრასტრუქტურული გარემოსა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან შედგეს ეფექტიანი კომუნიკაცია ბუნებრივი აირის მომწოდებელ ლიცენზიანტ კომპანიასთან ე.წ. „შუამავალი რგოლის“ ფუნქციით, რათა დადგინდეს და მოსახლეობას ეცნობოს ოფიციალურად განსაზღვრული ზუსტი ვადები, თუ ლიცენზიანტი კომპანიის მიერ კონკრეტულად როდის დაიწყება და როდისთვის დასრულდება გაზიფიცირების პროცესი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ დასახლებებში.